თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2017 წლის 09 ოქტომბრის სხდომა)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს,

კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტისა და კანდიდატისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს არსებობა არის მნიშვნელოვანი, და

რეკომენდაციით მიმართავს

საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს, საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლებს:

რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა, საჯარო სკოლებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების (ბაგა-ბაღების) თანამშრომლებმა სასწავლო პროცესის პოლიტიზების თავიდან აცილების მიზნით სამუშაო დღის განმავლობაში, მათ შორის, შესვენებისას ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, თავი შეიკავონ პოლიტიკური აგიტაციისგან/კონტრაგიტაციისგან, მათ შორის, სოციალურ ქსელებში პირადი გვერდის გამოყენებით; ასევე, მათი აღსაზრდელების/მოსწავლეების წინასაარჩევნო პროცესებში ჩართვისაგან და მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.